



დასკვნა

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის
თაობაზე

დასკვნა „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 139-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოამზადა დასკვნა „2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ.

მთავრობის პასუხისმგებლობა „2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 40-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია „2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის, თანდართული მასალებისა და განახლებული საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარიმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნას საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

- უზრუნველყოფენ თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომლებსაც ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და საფუძვლიანი და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად წარდგენილი, ხოლო ყველა არსებითი დაშვება ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ

ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

დასკვნა

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა „2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონის პროექტი. პროექტში წარმოდგენილი ცვლილებები ასახავს წლის განმავლობაში ფაქტობრივად რეალიზებულ ტენდენციებს. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტი დამტკიცდება ოქტომბერში, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტში, რომელიც პარლამენტს წარედგინება 1 ოქტომბერს, ვერ მოხდება პროექტით განსაზღვრული მაჩვენებლების ცვლილების ასახვა. შესაბამისად, მიზანშეწონილია, მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროცედურების დროულად ინიცირება.

ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტით, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 92.8 მლნ ლარით იზრდება შემოსულობები, ხოლო 223.1 მლნ ლარით - გადასახდელები. შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის არსებული უარყოფითი სხვაობა, ფინანსდება ბიუჯეტის ნაშთით, რომელიც დაგეგმილი 226.3 მლნ ლარიდან 356.6 მლნ ლარამდე გაიზარდა.

ცხრილი 1. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები - ათასი ლარი

დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის კანონი	2019 წლის კანონის ცვლილების პროექტი	სხვაობა	ცვლილება %
შემოსულობები	12,863,750	12,956,525	92,775	0.7%
შემოსავლები	10,487,700	10,540,400	52,700	0.5%
არაფინანსური აქტივების კლება	70,000	80,000	10,000	14.3%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	120,000	120,000	0	0.0%
ვალდებულებების ზრდა	2,186,050	2,216,125	30,075	1.4%
<i>მათ შორის საშინაო</i>	<i>500,000</i>	<i>900,000</i>	<i>400,000</i>	<i>80.0%</i>
<i>მათ შორის საგარეო</i>	<i>1,686,050</i>	<i>1,316,125</i>	<i>-369,925</i>	<i>-21.9%</i>
გადასახდელები	13,090,000	13,313,115	223,115	1.7%
ხარჯები	9,641,118	9,999,053	357,935	3.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,152,313	2,137,593	-14,720	-0.7%
ფინანსური აქტივების ზრდა	362,690	209,390	-153,300	-42.3%
ვალდებულებების კლება	933,879	967,079	33,200	3.6%
<i>მათ შორის საშინაო</i>	<i>40,079</i>	<i>40,079</i>	<i>0</i>	<i>0.0%</i>
<i>მათ შორის საგარეო</i>	<i>893,800</i>	<i>927,000</i>	<i>33,200</i>	<i>3.7%</i>
ნაშთის ცვლილება	-226,250	-356,590	-130,340	57.6%
რეალური მშპ-ის ზრდა	4.5%	4.5%	0.0%	-

სახელმწიფო ვალის ნაშთი	19,787,170	20,618,606¹	831,436	4.2%
<i>მათ შორის მთავრობის ვალის ნაშთი</i>	19,126,313	19,886,043	759,730	4.0%

შემოსულობების ნაწილში 52.7 მლნ ლარით გაიზარდა „შემოსავლების“ მუხლი, რაც გამოწვეულია „სხვა შემოსავლების“ გეგმური მაჩვენებლის ზრდით. ამასთან, 30.1 მლნ ლარით გაიზარდა „ვალდებულებების ზრდის“ მუხლი, რაც საგარეო საკრედიტო სახსრების საშინაო ვალით ჩანაცვლებასთან არის დაკავშირებული. შემოსავლებთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, 74 მლნ ლარით (855 მლნ ლარამდე) იზრდება მოგების გადასახადის არსებული გეგმური მაჩვენებელი (781 მლნ ლარი), რაც 10%-ით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებულს. განმარტებითი ბარათის მიხედვით, „დამატებით მიღებული შემოსავლები გამოწვეულია გადამხდელთა მიერ მოგების პროგნოზირებულზე მაღალი განაწილებით“;
- „სხვა გადასახადების“ გეგმური მაჩვენებელი იზრდება 90 მლნ ლარით (77%-ით) და 207 მლნ ლარს უტოლდება. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს „სხვა გადასახადების“ მუხლის გეგმური მაჩვენებელი 170 მლნ ლარის მოცულობით განისაზღვრა, ხოლო ფაქტობრივად მიღებულმა შემოსავლებმა 115.4 მლნ ლარი და გეგმის 67.9% შეადგინა. კანონპროექტის განმარტებით ბარათში არ არის წარმოდგენილი დაკორექტირების გამომწვევი მიზეზები და ცვლილების შემადგენელი კომპონენტები. საყურადღებოა, რომ აღნიშნული მუხლის ზუსტი საპროგნოზო მაჩვენებლის განსაზღვრა გასული წლების მსგავსად ისევ გამოწვევას წარმოადგენს;
- სხვა შემოსავლების მიმართულებით „პროცენტის“ მუხლის პროგნოზი იზრდება 10 მლნ ლარით (12%-ით) და 95 მლნ ლარს შეადგენს, თუმცა პროექტის განმარტებით ბარათში არ არის მოცემული აღნიშნული ცვლილების გამომწვევი მიზეზი. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის

¹ 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონისგან განსხვავებით, წარმოდგენილ ცვლილების პროექტში მოცემული სახელმწიფო და მთავრობის ვალის მოცულობა არ მოიცავს ისტორიულ ვალს, 672 მლნ ლარის ოდენობით. ვალის ნაშთში ისტორიული ვალის გათვალისწინებასთან დაკავშირებით რეკომენდაცია იქნა გაცემული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ, გვ. 22. <https://sao.ge/audit/report-on-budget-execution/2018>

პროექტის შესახებ დასკვნაში² ყურადღება გამახვილდა „პროცენტის“ მუხლის საპროგნოზო მაჩვენებლის კონსერვატიულ დაგეგმვაზე.

გადასახდელების მიმართულებით 357.9 მლნ ლარით იზრდება „ხარჯების“ მუხლი, ხოლო „არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლები მცირდება, შესაბამისად, 14.7 და 153.3 მლნ ლარით. ამასთან, 33.2 მლნ ლარით იზრდება „ვალდებულებების კლების“ მუხლი. გადასახდელებთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი პროექტით 2019 წლის დამტკიცებული ასიგნებები დაუკორექტირდა მხარჯავი დაწესებულებების ფარგლებში განსაზღვრულ 33 პროგრამას³ (იხ. დანართი 1). ასიგნებების ცვლილებით, ერთი მხრივ, ადგილი აქვს პროგრამებში არსებული აუთვისებელი თანხების შემცირებას, მეორე მხრივ, თანხები გამოიყოფა დაუგეგმავი ღონისძიებების, მიმდინარე პროექტების შეუფერხებელი განხორციელებისათვის ან ცალკეული მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად;
- ცვლილების ფარგლებში ასიგნებები შეუმცირდა 16 პროგრამას დამტკიცებული ბიუჯეტის 0.6%-დან 100%-მდე (0.4 - 101.5 მლნ ლარის ფარგლებში), ჯამურად 328.5 მლნ ლარის ოდენობით⁴. აღნიშნული თანხიდან 264 მლნ ლარი ნაწილდება 17 სხვა პროგრამაზე⁵. მათ შორის, განათლების რეფორმის ფარგლებში 95 მლნ ლარი მიიმართება პროგრამაზე - „სკოლამდელი და ზოგადი განათლება“. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული რეფორმის მიზნობრივი ნიშნულები და განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მოცულობა, რაც ართულებს ამ მიმართულებით ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი რესურსის პროგნოზირებას.

პროგრამების შემცირებით გამოთავისუფლებული დანარჩენი რესურსი, კანონპროექტში გადასახდელების ზრდით გათვალისწინებულ სახსრებთან ერთად, მიიმართება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე, ჯამში 293.6 მლნ ლარის ოდენობით. მათ შორის: „ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემ ტრანსფერებზე“ - 100 მლნ,

² დასკვნა „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე.

³ მათ შორის, სამ მხარჯავ დაწესებულებას, რომლებიც არ არის ჩაშლილი პროგრამებად.

⁴ იხილეთ დანართი 1.

⁵ მათ შორის 8.3 მლნ ლარი სამ მხარჯავ დაწესებულებაზე.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდზე“ – 130 მლნ, „საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვაზე“ - 43 მლნ ლარი⁶. უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტი არ მოიცავს ინფორმაციას 3 პროგრამის დაფინანსების ცვლილების მიზეზების შესახებ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამას - „ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება“ ცვლილების ფარგლებში აკლდება 3.2 მლნ ლარი, ასევე „ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებების“ პროგრამის ასიგნებები 3.8 მლნ ლარის ოდენობით აღარ არის გათვალისწინებული, რის შესახებაც განმარტებითი ბარათი არ შეიცავს ინფორმაციას. ასევე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამას „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - მეორე პროექტი“ ემატება 25 მლნ ლარი, თუმცა განმარტებით ბარათში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია დამატებითი დაფინანსების საჭიროების შესახებ;

- როგორც ზემოთ აღინიშნა, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მოცულობა 130 მლნ ლარით იზრდება (46%-ით) და 410 მლნ ლარს უტოლდება. აღნიშნულის ძირითად მიზეზს სხვადასხვა მუნიციპალური პროექტის⁷ დასაფინანსებლად მთავრობის განკარგულებების⁸ საფუძველზე ფონდიდან მისამართი თანხების ზრდა წარმოადგენს, რომელთა ჯამური ოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით განსაზღვრული ფონდის მოცულობას - 280 მლნ ლარს. კერძოდ, 21 აგვისტოს მდგომარეობით, მთავრობის განკარგულებების საფუძველზე ფონდიდან დაიგეგმა 350 მლნ ლარის გამოყოფა. განკარგულებების საფუძველზე კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით ჭარბი რესურსების გამოყოფა ქმნის სხვა წყაროებიდან დამატებითი სახსრების მოზილზების აუცილებლობას.

⁶ დანარჩენი თანხა ნაწილდება შემდეგნაირად: „საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები“ - 615 ათასი ლარი; „დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება“ - 20 მლნ ლარი.

⁷ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტები, სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობის პროგრამა.

⁸ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 ივლისის #1722 განკარგულება - 270 მლნ ლარი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 აგვისტოს ივლისის #1867 განკარგულება - 17 მლნ ლარი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის #1208 განკარგულება - 40 მლნ ლარი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 აგვისტოს ივლისის #1869 განკარგულება - 23 მლნ ლარი.

წარმოდგენილი კანონპროექტით იგეგმება საგარეო ვალის შემცირება 369.9 მლნ ლარით, რაც ბალანსდება საშინაო ვალის ზრდით 400 მლნ ლარის ოდენობით. **სახელმწიფო ვალის** მიმართულებით საყურადღებოა შემდეგი საკითხები:

- 2019 წლის 8 თვის მდგომარეობით სახელმწიფო ვალის ფაქტობრივი მოცულობა 20.1 მლრდ ლარს შეადგენს და ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ ზღვრულ მაჩვენებელს (19.8 მლრდ ლარი) 302 მლნ ლარით აჭარბებს⁹. აღნიშნული უმეტესწილად დაკავშირებულია ეროვნული ვალუტის გაუფასურებასთან¹⁰. წარმოდგენილ პროექტში დაკორექტირდა ვალუტის გაცვლითი კურსი¹¹ და სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა 831 მლნ ლარით გაიზარდა და 20.6 მლრდ ლარს შეადგენს (აღნიშნული მაჩვენებელი არ მოიცავს ისტორიულ ვალს 672 მლნ ლარის ოდენობით);
- „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მთავრობის ვალის¹² მაჩვენებელი მშპ-ის 42.6%-დან 44.3%-მდე იზრდება. ისტორიულ ვალის გათვალისწინებით კი, აღნიშნული მაჩვენებელი მშპ-ის 45.8%-ს შეადგენს;
- ცვლილების შედეგად „საშინაო ვალდებულებების ზრდის“ მუხლი 400 მლნ ლარით იზრდება და 900 მლნ ლარს უტოლდება. განმარტებითი ბარათის მიხედვით, საშინაო ვალდებულებების ზრდა დაკავშირებულია რესურსების მობილიზების საჭიროებით 2020 წლის იანვარში ე.წ. „ბენჩმარკ ბონდების“¹³ დაფარვასა და მიმდინარე წელს მუნიციპალური პროექტების დასაფინანსებლად. უნდა აღინიშნოს, რომ გეგმა-გრაფიკის მიხედვით მიმდინარე წელს „ბენჩმარკ ბონდების“ დაფარვა არ იგეგმება¹⁴ და წარმოადგენს მომავალი წლის ბიუჯეტის ვალდებულებას. შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულებების გათვალისწინება მიზანშეწონილია მომავალი წლის ბიუჯეტის კანონში;
- კანონპროექტით 369.9 მლნ ლარით მცირდება საინვესტიციო პროექტებისთვის საგარეო საკრედიტო წყაროებიდან მიღებული სახსრების მოცულობა. კერძოდ, 2019 წელს არ არის

⁹ ზღვრული და ფაქტობრივი მაჩვენებლები მოიცავს ისტორიულ ვალს 672 მლნ ლარის ოდენობით.

¹⁰ ბიუჯეტის თავდაპირველი კანონი დაიგეგმა 1\$ = 2.66 ლარი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

¹¹ 1\$ = 2.66 ლარიდან 1\$ = 2.96 ლარამდე.

¹² ვალის წესი - საქართველოს მთავრობის ვალის ფარდობა მშპ-თან არ უნდა აღემატებოდეს 60.0%-ს.

¹³ ბენჩმარკ ბონდები წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების გამსხვილებულ ემისიებს წინასწარ ცნობილი პერიოდულობით და თანაბარი მოცულობებით (ერთიანი დაფარვით).

¹⁴ გეგმა-გრაფიკის მიხედვით 2 წლიანი „ბენჩმარკ ბონდების“ დაფარვა, ჯამური ღირებულებით 240 მლნ ლარი, იგეგმება 2020 წლის 11 იანვარს.

გათვალისწინებული 9 საინვესტიციო პროექტის განხორციელება, ჯამური ღირებულებით 176.9 მლნ ლარი, რომელთა ფარგლებშიც 8 თვის მდგომარეობით თანხები არ ათვისებულა. გარდა ამისა, 21 პროექტის შემთხვევაში, რომელთა ათვისების მაჩვენებელი წლიური გეგმის 50%-ზე ნაკლებია, დაფინანსება მცირდება ჯამურად 329.6 მლნ ლარით (დეტალური ინფორმაცია პროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილია დანართ 2-ში).

მიზანშეწონილია, საინვესტიციო პროექტებისათვის არ ხდებოდეს ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული წლიური გეგმების შემცირება დაბალი ათვისების ტენდენციიდან გამომდინარე, რათა ანგარიშგების ეტაპზე მოხდეს აუთვისებლობის გამომწვევი მიზეზების წარმოდგენა და ანალიზი, რისი საშუალებითაც შესაძლებელი იქნება მომავალი პერიოდის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში წარსული გამოცდილების გათვალისწინება.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გასულ წელს გაცემული რეკომენდაცია¹⁵ და წარმოდგენილ კანონპროექტს თან ერთვის **პროგრამული ბიუჯეტის** დანართი, პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნობრივი მაჩვენებლების ცვლილების შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში არ მომხდარა ყველა იმ პროგრამის/ქვეპროგრამის მიზნობრივი მაჩვენებლის დაკორექტირება, რომელსაც შეეცვალა ასიგნებების მოცულობა. როგორც დანართშია აღნიშნული, დოკუმენტი „მოიცავს ინფორმაციას იმ პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნობრივი მაჩვენებლების ცვლილების შესახებ, რომლებზეც გავლენას ახდენს პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები.“ შესაბამისად, მიზნობრივი მაჩვენებლები დაკორექტირდა 4 პროგრამისა და 14 ქვეპროგრამისთვის, რომელთა ასიგნებების წლიური გეგმის ცვლილება 10%-დან 98%-მდე მერყეობს (ჯამურად 482 მლნ ლარი¹⁶). მიზნობრივი მაჩვენებლები არ შეცვლილა დანარჩენი 16 პროგრამისა¹⁷ და 3 ქვეპროგრამის შემთხვევაში¹⁸, რომელთა წლიური გეგმის მოცულობა

¹⁵ დასკვნა საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

https://www.sao.ge/files/saxelmwifo_auditis_daskvna_biujetis_cvileba_2018.pdf

¹⁶ მოიცავს როგორც ასიგნებების ზრდის, ასევე კლების ჯამურ მაჩვენებლებს.

¹⁷ აღნიშნული 16 პროგრამა ბიუჯეტის კანონის პროგრამულ დანართში არ არის წარმოდგენილი ქვეპროგრამების დონეზე, შესაბამისად არ არის გამიჯნული საშუალოვადიანი და ერთწლიანი პერიოდის მიზნობრივი მაჩვენებლები.

¹⁸ განხილულია მხოლოდ ის პროგრამები, რომელთა მოსალოდნელი შედეგები და მიზნობრივი მაჩვენებლები განსაზღვრული იყო 2019 წლის ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართით.

წარმოდგენილი პროექტით 1%-დან 118%-მდე (ჯამურად 212 მლნ ლარი¹⁹) იცვლება. მიღწეული შედეგების სრულყოფილად შეფასებისა და ფინანსურ და არაფინანსურ ინფორმაციას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გაუმჯობესებისათვის, მიზანშეწონილია გაგრძელდეს მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის დანართზე და პროექტში წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად, სრულად მოხდეს მიზნობრივი მაჩვენებლების განახლება.

¹⁹ მოიცავს როგორც ასიგნებების ზრდის, ასევე კლების ჯამურ მაჩვენებლებს.

დანართი

დანართი 1. პროგრამები რომელთაც ბიუჯეტის კანონპროექტის ცვლილებით ეცვლებათ დაფინანსება (ათასი ლარი).

პროგრამის დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის კანონი (1)	8 თვის ფაქტიური ხარჯი (2)	% (2/1)	2019 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილება (3)	სხვაობა (3) – (1)	% (3/1)
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია						
არჩევნების ჩატარების ლონისძიებები (06 04)	-	4,288		200	200	
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო						
ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (24 01)	23,430	11,238	48.0%	20,230	-3,200	-13.7%
ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (24 10)	26,000	4,213	16.2%	13,000	-13,000	-50.0%
ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD,EIB,EU) (24 13)	25,000	2,753	11.0%	500	-24,500	-98.0%
სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (24 14)	86,900	6,605	7.6%	14,900	-72,000	-82.9%
ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები (24 18)	3,800	0	0.0%	0	-3,800	-100.0%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო						
რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (25 01)	8,900	5,059	56.8%	8,400	-500	-5.6%
რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (25 03)	300,450	137,997	45.9%	258,200	-42,250	-14.1%
წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა- რეაბილიტაცია (25 04)	226,200	154,171	68.2%	262,425	36,225	16.0%
მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა (25 05)	39,900	14,787	37.1%	19,425	-20,475	-51.3%
იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (25 06)	50,000	51,027	102.1%	66,500	16,500	33.0%

ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (25 07)	72,500	36,389	50.2%	83,000	10,500	14.5%
სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (26 01)	8,490	20,955	246.8%	18,490	10,000	117.8%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო						
იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა (27 06)	57,850	43,667	75.5%	67,850	10,000	17.3%
საგარეო პოლიტიკის განხორციელება (28 01)	135,955	95,751	70.8%	142,955	7,000	5.1%
საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG) (29 10)	55,000	8,233	15.0%	15,000	-40,000	-72.7%
საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (30 01)	528,040	369,891	70.3%	553,040	25,000	4.7%
გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო						
გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (31 01)	17,772	9,532	53.6%	16,072	-1,700	-9.6%
სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეკოზოოტიური კეთილსაიმედოობა (31 02)	67,986	46,410	68.3%	67,586	-400	-0.6%
სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (31 04)	6,542	3,108	47.5%	5,492	-1,050	-16.1%
ერთიანი აგროპროექტი (31 05)	96,890	68,092	70.3%	104,190	7,300	7.5%
სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა (31 07)	76,700	46,494	60.6%	77,900	1,200	1.6%
გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (31 08)	20,670	10,889	52.7%	19,020	-1,650	-8.0%
სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (31 10)	11,895	5,358	45.0%	10,395	-1,500	-12.6%
გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია (31 14)	2,350	532	22.7%	1,350	-1,000	-42.6%
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო						

სკოლამდელი და ზოგადი განათლება (32 02)	750,460	513,662	68.4%	845,460	95,000	12.7%
კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებები (32 13)	21,170	17,229	81.4%	32,170	11,000	52.0%
ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - მეორე პროექტი (32 14)	45,345	48,063	106.0%	70,345	25,000	55.1%
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური						
სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა (40 02)	7,500	9,259	123.4%	8,300	800	10.7%
საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები						
დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები (54 12)	146,306	29,765	20.3%	44,806	-101,500	-69.4%
საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (54 01)	1,230,000	763,696	62.1%	1,273,000	43,000	3.5%
საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (54 02)	324,000	233,167	72.0%	318,000	-6,000	-1.9%
საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები (54 03)	9,600	3,809	39.7%	10,215	615	6.4%
ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები (54 04)	80,600	232,430	288.4%	180,600	100,000	124.1%
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (54 07)	280,000	0	0.0%	410,000	130,000	46.4%
დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება (54 11)	90,000	42,623	47.4%	110,000	20,000	22.2%
მხარჯავი დაწესებულებები, რომელთა ასიგნებაც პროგრამულად ჩაშლილი არაა						
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია (02 00)	6,000	5,060	84.3%	8,200	2,200	36.7%
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (46 00)	4,200	2,941	70.0%	8,700	4,500	107.1%
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (51 00)	2,800	1,420	50.7%	4,400	1,600	57.1%

დანართი 2. საგარეო საკრედიტო რესურსით დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების 2019 წლის გეგმური მაჩვენებლების ცვლილება (ათასი ლარი).

პროგრამები დალაგებულია 2019 წლის 8 თვის მდგომარეობით ათვისების მაჩვენებლის მიხედვით.

პროგ. კოდი	პროექტის დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის კანონი (1)	8 თვის ფაქტიური ხარჯი (2)	% (2/1)	2019 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილება (3)	სხვაობა (3) – (1)
25 02 03 10	თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ძირულა არგვეთას მონაკვეთის რეკონსტრუქცია- მშენებლობა (IICA)	48,850	-	0.0%	-	-48,850
25 05 02	ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი (EU, KfW)	15,000	-	0.0%	-	-15,000
29 10	საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG)	55,000	-	0.0%	15,000	-40,000
24 14 03 05	კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW)	9,500	-	0.0%	-	-9,500
25 03 14	საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი-ალტერნატიული ენერგიის გამოყენება (NEFCO, E5P)	3,000	-	0.0%	700	-2,300
24 14 03 04	გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW)	4,500	-	0.0%	-	-4,500
24 14 03 02	ჩრდილოეთის რგოლი ეგზ (I ფაზა) (KfW, EBRD)	13,500	-	0.0%	1,500	-12,000
54 12 05	თბილისის ავტობუსების პროექტი (II ფაზა – გაზი) (EBRD)	75,000	-	0.0%	-	-75,000
	500 კვ ეგზ „წყალტუბო-ახალციხე- თორთუმი“ (KfW)	5,000	-	0.0%	-	-5,000
25 03 08	საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (EIB)	8,000	-	0.0%	1,600	-6,400
25 05 04	მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II (KfW)	1,000	-	0.0%	-	-1,000
24 14 03 06	ხელედულა-ლაჯანური-ონი (KfW)	9,000	-	0.0%	-	-9,000
24 14 03 03	500 კვ ეგზ „ჯვარი-წყალტუბო“ (WB)	9,000	-	0.0%	-	-9,000
25 02 03 09	„თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის უბისა შორაპანის მონაკვეთის რეკონსტრუქცია- მშენებლობა (EIB)	96,850	133	0.1%	16,050	-80,800
54 12 06	თბილისის მყარი ნარჩენების პროექტი (EBRD)	20,000	496	2.5%	-	-20,000
25 02 03 08	თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ხევი უბისას მონაკვეთის რეკონსტრუქცია - მშენებლობა (ADB)	63,550	2,687	4.2%	7,550	-56,000

25 02 03 11	სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ 48-კმ 64, გრიგოლეთი-ჩოლოქის მონაკვეთის მშენებლობა (EIB)	48,700	2,415	5.0%	26,000	-22,700
25 02 02 16	ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund)	9,200	526	5.7%	8,500	-700
25 07 03	თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაციისა და ენერგოეფექტურობის გაზრდის პროექტი (CEB, E5P)	1,500	148	9.9%	500	-1,000
25 02 02 18	მდინარე დებედაზე ხიდის მშენებლობა (EBRD)	2,700	295	10.9%	300	-2,400
24 14 01 01	ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი (ADB, IBRD, WB)	10,000	1,458	14.6%	3,000	-7,000
24 13	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EU, EBRD)	15,000	2,753	18.4%	500	-14,500
54 12 04	ბათუმის ავტობუსების პროექტი (E5P, EBRD)	4,800	1,018	21.2%	1,300	-3,500
25 03 05	რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB)	24,000	8,187	34.1%	17,050	-6,950
25 02 03 02	აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი (ზემო ოსიური-რიკოთი) (EIB, WB)	55,225	20,806	37.7%	37,225	-18,000
25 02 03 06	აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მოდერნიზაცია-მშენებლობა სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთზე (EU, EIB)	52,300	21,135	40.4%	38,000	-14,300
25 02 03 04	ქ. ბათუმის ახალი შემოვლითი გზა (AIIB, ADB)	56,000	23,776	42.5%	36,500	-19,500
25 03 07	საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი (EIB)	59,500	26,026	43.7%	48,500	-11,000
24 14 02	საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა (WB, EBRD, KfW, EC)	11,100	5,147	46.4%	6,100	-5,000
54 12 01	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (III ფაზა) (EU, KfW)	18,400	8,698	47.3%	13,400	-5,000
25 05 03	ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD, SIDA)	1,000	475	47.5%	475	-525